

სამუშაო ჟურნალი

მუსავათი

(იბეჭდება თო კვირაში ერთხელ)

ურნალის უასი წელიწადში 3 მან. || რედაქცია: კავკასიის სამუშა. საზოგადოება
თითო ნომერი ხელშე გასახიდად 10 კაპ. || აღქვეთ: თბილის, ბარათისა, № 5.

წელიწლი მომს.

1910 წელიწადი.—1 ივნისი.—№ 13.

შ 0 6 1 1 6 8 0

ნამდვილი აუცილელებელი ზომები ხოლერის წინააღმდეგ	3
კახელი მევენახე	8
ც. გულბათოშვილი	9
ვ. ახოშვილი	11
მასალა სამეცნიერო სიტყვათ-კრებულის შესაღენი	14
<u>საყურადღებო ცნობები:</u>	
ნავთოთ დადაქანებულ ქსოვილის გაწმენდა	15
ნახშირ მევარის დაბორიელებულის წამალი	15
რომელი მხრიდან უნდა წველა	15
<u>განცხადებანი</u>	16

სამეურნეო ჟურნალი

მოსავალი

(იპტემბერი 20 კვირაში ერთხელ)

წარსულ წელს ჟურნალში დაბეჭდილი წერილები შემდეგი პირებისა:

3. აკად. ა. აუხაზ. ა. აგრეგორიანი, გ. ახ. შვილისა, გ. ახ. ლაძესი ლ. გოგნიევისა, გ. გულაძათიშვილისა, ღ. გრინაშვილისა, უ. დედაშვილისა, ელევტენი, ზ. ელიაშვილისა, შ. ზალიშვილისა, ა. თამაშევისა, ე. იოსელანისა, ღ. ქარჩევაშვილისა, ე. ქარბელაშვილისა, პ. ლორთქიფანიძესი, ღ. მძივანისა, ს. მგალობლიშვილისა, შ. მარჯაშვილისა, ნ. მაკარ-შვილისა, გ. მეტელიშვილისა, შ. მაშულაშვილისა, გ. ნახუცრიშვილისა, ც. ნ., ი. პა-ტაშვილისა, გ. რცხილაძესი, შ. სემიონოვისა, პროფ. ა. ფრანგულაცივისა, გ. უელისა, ი. წინაშეღარიშვილისა, ს. ხუნდაძესი, ე. ხრამელაშვილისა, შ. ჯანაშვილისა, ი. ჯორ-ჯაძეს და რამდენიმე წერილი ხელმოუწერელი.

რედაქცია მოელის სხვებიდანგაც თანამშრომლიბის სურვილის გამოცხადებას.

რედაქციასთან ტერმინების შესამუშავებლად არსებობს კოლეგია, რამდის კომ-პრესტრუქტურული აქცია თავისი მიღებული იქ იმედით, რომ გარემოება იგი ერთის მხრით გამდებარებასა და სიმუშვიდეს მისცემს შრომაში ყველა იმათ, ვინც ქალაქ გარედ სცხოვრობენ და არ შეუძლიანთ რედაქციასთან პირისპირ შეთანხმება რომელიმე ტერმინის ხმარების შესახებ, და მეორეს მხრით მისცემს ქარ-თულს ენას მეცნიერებათა ყველა დარგში გარკვეულ საზიერებას.

კოლეგიაში ჯერხანობით მოწვევულ არის: გოგებაშვილი ი., სარაჯიშვი-ლი ა., ჯანაშვილი მ., თაყაიშვილი ე., იოსელიანი ე., გულისაშვილი შ., ყიფშიძე გ., ჯაბადაძე ი., კარიჭაშვილი დ., ბილანაშვილი შ., დედაბრიშვილი შ., ღამბაშიძე გ., ალაძე ი., გულისაშვილი მ.

თანამშრომლთა საზურადლებოდ.

ჟურნალის შემსახულიდან გაისტუმრება ხარჯი სტამბისა და კანცელარიისა, და-ნარჩენი (თუ რამე დარჩა) წლის დამლევს დაურიგდებათ თანამშრომლებს პროპრიეტატისად მათი ნაშრომისა.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქციამ შესატოროს და შეა-მოკლოს. წერილები და კორესპონდენციები, რამელიც არ დაიბეჭდებიან, არც შე-ინახებიან დასაბრუნებლად.

რედაქცია მზათ არის აღმოუჩინოს „მოსახლის“ მკითხველებს ყოველ გვარი შუამავლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრედვე ყველა სამეურნეო ნაწარმოების შექმნაზეაღმდეგაში.

განცხადები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე. ჩვეულებრივი სტრი-ქონი (ვენური ან აკადემიური ასთი) განცხადებისა ღირს თუ შაური.

წლიურ აბონიმენტებისათვეს განცხადების ფასი რედაქციასთან შეთანხმებით. განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

წლის დამლევს ხელისმომწერლებს საჩუქრად დაეგზავნებათ რჩეული თე-ლეულობა სხვადასხვა სამეურნეო მცნარეთა საუკეთესო ჯიშებისა.

აგრედვე, თუ შეძლება ექნება რედაქციას, უურნალის ხელისმომწერლებს გაუგ-ზავნის უფასოდ დამატება-ბროშურას მეურნეობის რომელიმე დარგის შესახებ.

შურნალი წელიწადში ღირს ვ განვითი.

რედაქციის ადრესი: თიფლის, ბარათინსკა, 5. «МОСАВАЛИ».

რედაქტორ-გამომცემელი ვ. ი. რცხილაძე

ნამდვილი აუცილებელი ზორჩიერი ხოლორის წინააღმდეგ

ხოლორი ჩვენს ქვეყანას ღრმობებით ეწვევა ხოლმე, ინდოეთში კი, მდინარე განგეს ნაპირებზე, სადაც ზამთარი სრულებით არ იცის, თბილა, ადგილები ჭაობიანია, ხოლორი მთელი წელიწადი მძინვარებს განუწყვეტლივ, როგორც ჩვენში ციებ-ცხელება, სახადი და სხვა. ინდოეთიდან ხოლორი შემოდის ევროპაში ან ზღვით იქიდან მომავალი გემ-ხომალდების შემწეობით ან და, უფრო ხშირად, ხმელეთით რუსეთის საკუთნო შეა-აზის ქვეყნებზე გამოვლით, ასტრახანში მოსვლით და აქედან მდინარე უოლგას ნაპირებზე გავრცელებით.

ხოლორი გადამდები სენია.

როგორც ხოლორის ისე სხვა გადამდებ სენთა შესახებ დიდი ხანი არა ვიკოდითა. მხოლოდ ეს 40 წელიწადია მას აქეთ, რაც პირველად საფრანგეთის გამოჩენილმა მეცნიერება ლუი პასტერმა მიკროსკოპისა და ბევრი სხვადასხვა გვარი ცდების შემწეობით გამოიკვლია და დანამდვილებით დამტკიცა, რომ იმ მცენარე-ცხოველების გარდა, რომელთაც ჩვენა ვხედავთ ჩვენი შეუირალებელი თვალით, კიდევ მრავალი სხვა წვრილი სოკო-მწერნი არიან ბუნებაში, რომელთ დანახვა მარტო მიკროსკოპის შემწეობით შეიძლება და ამიტომ ყველა მათ მიკრო-ორგანიზმები ინუმცილეთ მიკრობები ჰქვიანთ საერთო სახელად. ამ წვრილ სოკოებს ბაქტერიებსაც ეძახიან.

ზოგნი ამ მრავალგვარი ბაქტერიებიდან არამც თუ მარტო უწევბელნი, პირიქით, სასარგებლონიც კი არიან აღამიანისათვის. პურის ცომის გაფუნდა, ლვინის დადუღება, სხვადასხვა ქიმიური მოვლენების გამოწვევა ნიადაგში მცენარეთათვის სასარგებლოდ სულ ამ სოკოების ანუ ბაქტერიების საშუალებით ხდება.

მაგრამ ამ უცნებელ ბაქტერიების გარდა არიან ძლიერ მავნე ბაქტერიებიც, რომელნიც სხვადასხვა სატკივარ სენსა ჰქადავენ. ეს მავნე ბაქტერიები ჩაუსახლდებიან ხოლმე აღამიანის სხეულს რომელსამე ორგანოში — ნაწლევებში, ფილტვებში, ყელში, — მრავლდებიან აქ და სწამლავენ მთელ სხეულს.

ხოლორის ჭია ანუ ბაქტერია პირველად ნემენცების გამოჩენილმა ექიმმა კოხმა აღმოაჩინა.

აღმოჩნდა რომ ყოველ გადამდებ სატკივარ სენს თავისი დამბადავი ცალკე ბაქტერია ჰყოლია.

იგივე კოხს ეკუთვნის ჭლერქის მიკრობის აღმოჩენაც.

ბაქტერიები დიდ სიცხეში — ცეცხლში, აღუღებულ წყალში — იწვიან-იხარშებიან როგორც მცენარენი. ზოგი ბაქტერიებთაგანი, როგორც მაგალითად ხოლორის ჭია უბრალო გაშრობგახმობითაც კი კვდება მზეზე. გარდა ამისა თითქმის ყველაგვარი ბაქტერიები იხოცებიან აგრედავე ზოგიერთ ნივთიერების ქიმიური ზედმოქმედებითაც — ცხარე სიმუავებით, მაგარი სპირტეუ-



ლობით, სულემით, კარბოლის სიმე-
ვით, ახლად განელებული კირით და
სხვა.

სიცივე ვერა ხოცას ხოლერის ბაქ-
ტიერიებს, მაგრამ არც ხელს უწყობს
მათ გამრავლებას, ამიტომ სანამ არ
მოთხება საცა არიან ვერა მრავლდე-
ბიან.

ხოლერის ბაქტიერია ჩადის ადამიანის
კუჭში საჭმელთან ერთად, უფრო ხში-
რად კი წყალს ჩაჰყება ხოლმე. თუ
კუჭი საღად მოქმედობს. ბაქტიერიები
კუჭში ჩასვლისათანავე მეავე კუჭის
წვენის ზედმოქმედებით იხოცებიან.
ხოლო თუ რაოდენიმე გადაურჩა კუ-
ჭის წვენს და ცოცხალი ბაქტიერიები
შევიღნენ ნაწლევში, აქ ისინი ხელად
უთვალავად მრავლდებიან და გამოი-
წვევენ ავადმყოფობას. ბაქტიერიების
ჩაყლაპვის შემდეგ 2—3 - 4 დღის გა-
ნმავლობაში ავადმყოფობამ უნდა თავი
იჩინოს.

ამ შემთხვევაში იწყება კუჭ-ნაწლე-
ვების ჭუბქუყი, ტანიდან განავალი
თხელდება და გამოსდევს თან მომუქო
ფერფლი. ავადმყოფი ამ დროს ხში-
რად არაფერ ტკივილებს არა გრძნობს
კუჭში. რამდენიმე დღის შემდეგ, თუ
კარგად მოვუარეთ ავადმყოფს, კუჭი
ისევ უმაგრდება და ავადმყოფობა ამი-
თი თავდება.

სენი ამგვარი ავადმყოფიდან ისევე
შეიძლება გადაედოს სხვას საიკვდი-
ლოთ, როგორადაც ხოლერით მძიმე
ავადმყოფიდან.

ხოლერით მძიმე ავადმყოფს აუგარ-
დება ხოლმე ჩვეულებრივ შეუჩერებე-
ლი ტანსაქმობა და პირსაქმობა, რაც
ძლიერ გალე ასუსტებს იდამიანს. ამო-
დენა სითხეს დაკარგვით ავადმყოფს

სისხლი უშრება, ხელფეხის კუნთები
ეკრუნჩხება, სხეული ელმინჭება, კანი
უცივდება, პირისახეს რკინის ფერი
ედება, თვალები უვარდება, ხმა ეხლან-
დება-ეკარგება და ბოლოს კვდება.

თუ სხეულმა სატკივარსა სძლია და
მორჩენის გზას დაადგა, მაშინ ტანი-
დან და პირიდან საქმობა წყდება,
კრუნჩხვა დგება, სხეული თბება, ავა-
დმყოფს ძილი მოსდის, მაღა ეხსნება.
ავად ყოფილის ჯანზე მოსვლა ძლიერ
მძიმე-მძიმედ ხდება.

ნახევარი რიცხვი ხოლერით ავად
დამხდრებისა საზოგადოდ ველარა რჩე-
ბა და იხოცებიან.

ამიტომ გაფრთხილდით:

ნუ დალევთ სრულებით აუდუღარ-
მტკვრის წყალს, სვით მხოლოდ ახლად
აღუღებული და ვაციებული წყალი!
ერიდეთ გადამეტებულ ჭამას!
ერიდეთ ისეთ საჭმელებს, რომელ-
თაც შეუძლიანო კუჭის მოშლა!
არ დაითროთ!

ბევრი ცივი წყალი ან სხვა სასმელი
არ დალიოთ!

უქმელნი დილხანს არ დარჩეთ!
უზმოზედ შინიდან გარედ არ გამო-
ხვიდეთ!

ცივ წყალში არ იბანაოთ.

აუდუღარი რჩე არ დალიოთ!

გაუფექნელი ან მდუღარე წყალში
გაუვლებელი ხილი და მწვანელი არ
სჭამოთ!

ხილი და მწვანილი ცოტა ჭამეთ!

დაიცავით სისუფთავე სახლისა, ტა-
ნისამოსისა, საცვლებისა, საწოლისა!

ერიდეთ აუდუღარი მტკვრის წყლით
პირის ბანვას, პირი გამოირცხეთ ახ-
ლად აღუღებული წყლით!

ხშირათ იბანეთ ხელები საპნიო!

არათერი სჭამოთ, მანამ ხელები არ
დაიბანოთ! კურპელი, პური და სხვა სანოვაგე
შეინახეთ გადაფარებული, რომ ბუზი
არ დაჯდეს და ყოველივე ორნების-
მარეთ ბუზების გასაწყვეტად.

მსუქნეულობის ერიდეთ საჭმელებში!
მომუავო საჭმელები მარგებელი
არიან.

ძალიან ერიდეთ ფეხებისა და მცუ-
ლის გაციებას!

რა ზომებია საჭირო თუ ხოლო მეზობლად გაჩნდა.

როცა ქალაქის ან სოფლის მეზობ-
ლათ ხოლორა გაჩნდება, მცხოვრებ-
ლები უნდა შეიკრიბნენ და თავიანთ
მდგომარეობაზე იზრუნონ. მასშავლე-
ბელი, მღვდელი, ყველა განათლებული
კაცი სოფელში მოვალეა წაუკითხოს
ხალხს ხოლორის შესახებ და აუხსნას
სხვადასხვა ზომების საჭიროება და სა-
რგებლობა.

ხალხმაც უნდა დაიჯეროს და დაუ-
ყოვნებლივ შეასრულოს ექიმის დარი-
გებანი.

საექვო ადგილებიდან მომავალ მგზა-
ვრის მიღების სოფელი უნდა ერიდოს.
თუ შესვლა სოფელში იუცილებელია,
უნდა ხუთი დღით მგზავრი დამყოფონ
ცალკე და მერე მისცენ ნება შევიდეს
სოფელში.

ამ ხუთ დღეში თუ ავად არის მგზავრი,
სატკივარი გამოჩნდება, რადგან ხოლო-
რის ჭიას მუცელში მხოლოდ ხუთი
დღის განმავლობაში აქვს ძალა მერე
კი აღარ.

სახლ-კარი, ქუჩა ყველამ სუფთად
უნდა შეინახოს. ნაგავი და ყოველი
უწმინდურება ეზოში ან ქუჩაში კი არ

უნდა გადაყარონ, არამედ უნდა მოა-
ქუჩონ ხოლმე და მუდამ დღე ქალაქ
ან სოფელ გარეთ გაიტანონ და დანი-
შნულ ადგილის ორმოში ჩაყარონ.

მდიდრებმა თავიანთ საკეთილებელ
უნდა დახმარება გაუწიონ დარიბ ხალხს
უფასო ან იაფ-ფასიან სასადილოების
და საჩაიების გამართვით, ექიმ-ფერშ-
ლების მოწვევით უფასო ექიმობისათვის
და სხვა.

თუ შეძლებული ნაწილი დარიბ
ხალხს დახმარებას გაუწევს, ამით სატ-
კივარ სენს მოსპობს და თავის თავისაც
უშველის.

რა ზომებია საჭიროა თუ ხოლო ქალაქში ან სოფელში უკვე გაჩნდა.

ხალხი ჭირს არ უნდა შეუშინდეს.
პარიქით უნდა ყველამ გული გაიმაგ-
როს, შეერთდნენ და შეერთებულის
ძალით შეებრძოლონ მოსეულ მტერს-
სატკივარს.

ხოლორიან ავადმყოფის ნარწყევი ან
განავალი არამც და არამც ქუჩაში ან
ეზოში არ გადააქციოთ, არამედ ცალკე
კურპელში უნდა მოგროვდეს და გზე-
ბისა და ჭების მოშორებით განგებ ამისა-
თვის ამოთხრილ ორმოში ჩააქციოთ.
უკეთესი იქნება რომ ავადმყოფის ყოვე-
ლი უსუფთაობა სოფელს გარეთ გავიდეს
და დანიშნულ ადგილის ორმოში ჩა-
სხას და ზედ ჭირი და მიწა წაეყაროს.

ავადმყოფის საცვლების გარეცხა არ
შეიძლება იმ მტინარის ახლოს, რომ-
ლის წყალსაც ხალხი ხმარობს.

ყველამ თავის თავს რიგიანად უნდა
მოუაროს, უბრალო უქეიფობაც რო-
იყოს, პირდებინების თუ ფალარ-
თობის დროს მაშინათვე ექიმს უნდა
მიმართოს.



ცარიელ მიწაზე ან გარეთ წოლას ლამზე დასაძინებლად უნდა ერიღნეთ, რადგან გაციება მეტადრე ფეხებისა და შეულისა ხოლერით ავად გახდომას ძრიელ უწყობს ხელს.

რა ზომებია საჭირო თუ ავადმყოფობა სახლში გაჩნდა.

ავადმყოფი სამკურნალოში წაიყვანეთ. თუ ეს არ შეიძლება, ვინც ავად არ არის სახლიდან ყველანი უნდა გავიდნენ. თუ ესეც არ შეიძლება, ავადმყოფს ცალკე ოთახი მაინც უნდა მიეცეს და ცალკე მომვლელი მიეჩინოს. მომვლელი საშიშ მდგომარეობაშია და ესეც შეიძლება იყად გახდეს, თუ შემდეგ სასტიკ ზომებს არ მიიღებს:

ვიდრე ავადმყოფთან შევიდოდეს, მომვლელმა უნდა ხალათი ჩაიცვას ხოლმე და გამოსვლისას გაიხადოს, ავადმყოფის ოთახში ჭამასმას უნდა ერიღოს, ამასთანავე ვიდრე სადილს შეუდებოდეს, შესაფერის წამლებით ხელები და პირი უნდა გაისუფთაოს, პირი ბორის სიმჟავით გამოივლოს.

საზოგადოდ მომვლელმა სასტიკი სისუფთავე უნდა დაიცვას და მაშინ შეიძლება უშიშრიდ მოუაროს ავადმყოფს.

ავადმყოფის მოვლა.

ავადმყოფს უნდა ცალკე ოთახი—დიდი, სუფთა და ნათელი. ზედმეტი ავეჯეულობა: ხალიხები, ფარდები, სურათები, წიგნები და სხვა ოთახიდან უნდა გამოიტანონ და შიგ დასტოვონ მხოლოდ ორი საწოლი (ავადმყოფისათვის და მომვლელისათვის), ერთი მაგიდა, სკამები და ზოგიერთი უსაჭიროები საგნები.

ოთახს ჩქარ-ჩქარა უნდა განივევბა—სითბო უნდა ოთახისა იყოს 15—16⁰R.

ავადმყოფის ნარწყევი და განავალი უნდა გროვდებოდეს დანიშნულ ჭურჭელში და ზედ კირი ან სხვა შესაფერი წამალი მოეყაროს ან მოესხას და ისე გაიტანონ ხოლმე გარეთ.

მოსვრილი იატაკი, ავეჯეულობა ან სხვა რამ ნივთები უნდა კარბოლის ან სულემის წყალში დასველებულ ტილოთი გაიშმინდოს. თუ იატაკი მიწისაა, უკეთესი იქნება მოსვრილ ადგილზე ახალი კირი დაესხას მაშინათვე.

ავადმყოფის საცვლებს, ვიდრე გარეცხავდნენ, რომელიმე თიხის ან ხის ჭურჭელში უნდა მოგროვდეს, სადაც კარბოლის ან სულემის წყალია ჩასხმული. შემდეგ ამ საცვლებს რეცხავენ და კი ხანს სოდის წყალში ადულებენ.

საშემდეგოდ როცა ავადმყოფი მოაჩება ან თუ გარდაიცვლება, მისი საცვალი, კვეშაგები, ტანისამოსი უფრო უკეთესი იქნება დაიწვას. ის ამიტომ ლარიბ ხალხში უშვილესია ავადმყოფის სახმარებლად ლეიბები თივით ან ჩალით იყოს გატენილი.

მიცვალებულის გვამი კარბოლის ან სულემის წყალში დასველებულ სუდარაში უნდა გაიხვიოს, კუბო დაილურსმოს, ზედ კირი დაესხას და ლრმათ დაიმარხოს.

რა ზომები უნდა ვიხმაროთ თუ ექიმი ვერ ვიშოვეთ.

ხოლერობის დროს კუჭის ნაწლევების უბრალო ავადმყოფობასაც კი ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექციოს, და, თუ ექიმს ვერ ვაჩვენეთ ავადმყოფი, შემდეგი ზომები ვიხმაროთ:

1. ავადმყოფი მაშინადევ ლოგინში უნდა ჩააწვინოთ, მდოგვი დაკრათ. თბილ-თბილი ქატო ადოთ, გახურებული აგურები და ცხელი წყლით სავსე ბოთლები ახმაროთ. ჟველა ეს, რასაკვირველია, სუფთა ტილოში უნდა იყოს გამოხვეული.

2. პირდებინების და ფალარათობის მოსასპობლად მიეცით ცივი მეავე სასმელი ლიმონის ან ბროწყულის წვენთან ერთად, ან უფრო უკეთესია, რამდენიმე წვეთი მარილის სიმჟავისა და-კარით (10—15 წვეთი ერთ სტაქან წყალში). თუ პირდებინება არ შედგა, ყინული ჩააყლაპეთ, თუ ამანაც არ უშველა და ამასთანავე ფალარათობაც აუგარდა, ბოტკინის ან ინოზემცის კაპლები დაალევინეთ (დიდს 20—25 წვეთი წყალში ყოველ 2—3 საათს, ზოგჯერ ყოველ საათს თუ შეუჩერებელი პირდებინება აქვს).

3. ხელფეხის ძარღვები თუ ეკრუნჩხება, მდოგვის ან ქაფურის სპირტით დაუზილეთ.

4. გულის ფრიალის წინააღმდეგ ვალერიანის ან გოფმანის კაპლები მიეცით (15—20 წვეთი თითოვჯერ, დღეში რამდენჯერმე), სისუსტისა და გულის ლონების დროს ნიშალური ასუნებინეთ.

5. გაციებულ ხელფეხს ცხელი წყლით სავსე ბოთლები ამოუდეთ, ამასთანავე კუჭხე ცხელი აგურები ან ქატო ადეთ და ცხელი ჩაი კონიაკით ან მაგარი წითელი ღვინით ასვით, რომ ავადმყოფს როგორმე ოფლი წამოხეთქის.

კარგი ოფლის მოსვლა მორჩენის ნიშანია.

სია შინ საქონებელ წამლებისა ხოლორის ასაცილებლად:

1) ხელის საპონი კარბოლისა ან სულემისა.

2) კბილების სახეზი და პირში გა-მოსავლები წამლები.

3) ქლორის კირი ფეხის აღგილებში სახმარებლად.

4) ახლად განელებული კირი სად-გომების გასასუფთავებლად.

5) კარბოლის სიმჟავე გასასუფთა-ვებლად სასხურებელი.

6) ბორის სიმჟავე პირში გამოსავ-ლებათ.

7) კარბოლის სიმჟავე გაუწმენდავი.

8) მწვანე საპონი პოლების, ფან-ჯრების, კარების, კელლების გასარეცხად.

წამლები სახლში საქონებელი იმ შემთხვევისათვის თუ ვინმე გაგვი-ხდა ავად.

1) დასაზელად: არაყი, მარილი, კა-მფორის ან მდოგვის სპირტი; ბოთ-ლები ცხელი წყლის ჩასასხმელად, ქა-ტო, აგურები, ფლანელი, ზალის ნა-კრები, საზელი ჩოთქები.

2. წითელი მაგარი ღვინო, კონია-კი, რომი.

3) კარგი მდოგვი.

4) ვალერიანის კაპლები.

5) გოფმანის კაპლები.

6) კამფორის სპირტი.

7) ტანინი ოყნის გასაკეთებლად (4 დრახმი 7—8 სტაქან წყალშე).

8) ბოტკინის კაპლები.

9) ინაზემცის კაპლები.

10) განელებული მარილის სიმჟავი (5—10 წვეთი წყალში საჭმელ-სასმე-ლის მიღების შემდეგ).

11) ქვეშ შესაფენი კლიონკა.

12) ოყნის გასაკეთებელი „კრუშკა“

ციხე შიგნიდამა ტედება

(ქახეთში ფილოჭერის გაჩენის გამო)

„...კარგი რამ გჭირდეს—გიგვირდეს
„ავი რა საკვირველია“!

კახეთში ფილოჭერა გაჩენილა! თუ-
მცა მაღალი მთებით არის ალაზნის ვე-
ლი იქეთ-იქიდამ ჩაკეტილ-განსაზღვრუ-
ლი, მაგრამ ფილოჭერა მაინც შევიდა
იქაც!

ვისი ბრალია, ვინ არის ჩვენი დამ-
ღუპველი?

იტყობინებიან ჩვენივე ქვეყნის შვი-
ლებმა, კახეთში გადმოსახლებულებმა
შემოიტანესო.

გასაოცარია!...

ვისაც კარგ ვარსკლავზე დაბადება,
ჯადო-თილისმა ან წერათი ატანა სწამს,
მან უნდა ჩვენი სამშობლო „ბუმბერაზ“
მთებით მოსილი, ვაკე ველმინდვრებით
მოჭედილი ერთ ციხე-გალავნად წარ-
მოიდგინს, სადაც ბუნება სიმდიდრით,
ხალხი სიკეთით უხვად არიან დაჯილ-
დოებულნი, მაგრამ ჯადო აქვთ ნაკ-
რავი ან წერა უწერიათ ისეთი რომ
როცა მათ წინ არა უდგათჩა და ყე-
ლამდე შეუძლიანთ ჯან-ლონით აივს-
ნენ, გადიდრდნენ, გათამამდნენ, ამ
დროს გარშემორტყმული გალავანი ში-
გნიდამა ტყდება და საბედნიეროდ მომ-
წიფებული ხოლო ბედნიერების ჯერ
არ მნახველი ხალხი ისევ უბედურების
გზისაკენ მიესწრაოდება...

ჩვენი საკუთარი ხელით ქალაქი ბა-
თუმი მიწასთან გავასწორეთ, სულ რო
ცოტა წელიწადში 8—9 მილიონი
მანეთი შემოსავალი დავაკარგვინეთ.

დაკარგული ქონება ხალხისა ტფილი-
სისა და ქუთაისის გუბერნიებში ჩვენი-
სავე მეოხებით გამოწვეული ისი მი-
ლიონებით უნდა დაითვალის... ან
ვინ მოსვთლის რამდენი ზარალი მო-
უვიდა ჩვენ ხალხს შინაური სალუ-
კმაპურო საქმეების თავგანებებით სა-
ქვეყნო პოლიტიკაში ჩარევის დროს,
რამდენმა საზოგადო საქმე ეკონომიკუ-
რიადაგზე აღმოცენებულმა დაიოჩნა...
სხვა ბევრი კიდევ ზარალი ვის შეუძ-
ლიან მოთვალის... მაგრამ ყველა ეს
ჩვენ თავს არ ვაკმარეთ და ახლა სამი
მაზრა ხალხის ერთად ერთ საცხოვრე-
ბელ წყაროს მახე დავუგეთ.

ორასი ათასი მცვიდრი მცხოვრებე-
ლი 7—8 მილიონ ვედრა ღვინის მო-
სავალზე ყოველწლივ ხელალებული,
გატიტლიკანავებული... თქვენისავე
თავის მტერნო, წერათი ატანილნო,
განა ხუმრობა საქმეა?! მაგრამ წერა
უძლეველია თქვენთვის, უბადრუკნო!
იკმარეთ... ეხლა მაინც მოდით გონს
და უშველეთ თავს, სანამ ჯერ კიდევ
დრო არს: შეკრბით იზრუნეთ, რომ
შემოსეული მტერი თქვენი ლუკმა პუ-
რის წისართმევად საცა გაჩნდა იქვე
მოჰკლათ და სხვაგან აღარსად გაუშ-
ვათ.

კახელებო, ათჯერ მოსეული თქვენ-
ზე ხოლო ერთხელ შემოსულს თქვენს
ვენახებში ფილოჭერაზე ბევრით აღ-
ვილი მოსაგირებელია. გაფრთხილდით
აქედამვე, თორებ შიმშილით დაიხოცე-
ბით!

ქუთაისის გუბერნიაში 2000 სხვადა სხვა ჯიშის ვაზია ადგილობრივი, ამა- თში ზოგს არა უკირსრა ღირსებით, ზოგი სრულიად არ ვარგა, გასაჩენი არ არის ვენახში; ისეთი ჯიში კა რომ სანაქებო იყოს საქვეყნოდ, არც ერთი არ არის.

ამდენი ჯიში ვაზებისა და ასეთი გა- მოურკვევლობა, გადურჩევლობა რის ნიშანია თუ არ მევენახეობისა და მე- ღვინეობის უკულტურობისა ხალხში (გამონაკლის არ ვეხებით)!

კახეთში მხოლოდ სამი ჯიში ვაზია გავრცელებული, სამივე ყოველი სიკუ- თით სავსე და სანატრელი: მწვანე, სა- ფერავი და რქაწითელი.

რის ნიშანია ეს თუ არ მევენახეო- ბის მაღალი კულტურისა!

ეს რომ ასეა გადმოსახლებულებმაც კარგად იცოდნენ. გამოცდილებით მშვენივრად იცოდნენ მათ ისიც, თუ რა დაუნდობელი მტერია ჩვენი ვაზისა ფილოქსერა.

მაშ საიდან სად ან რად მიქონდათ მდარე კარგში ასარევად, თუ ჩვენ ხალხს მართლა წერა არ უწერია ისეთი, რომ ყოველთვის თავისი ციხე-სიმაგრე თვითონვე უნდა შეინდან გატეხოს ხოლმე?!

კახელი მევენახე

ნიადაგი

ნეშვმპალის გარდა, რომელსაც ძრი- ელ რთული შედგენილობა აქვს, ნია- დაგში უმთავრესად არიან ქვა-ქვიშა, თიხა და კირი წოდებულნი ერთი საე- რთო სახელით: მინერალური ნივთიე- რებანი.

ქვა-ქვიშანი იყოფიან ორ რიგად: თაგვემარილა, რომელიც შესდგება მარ- ტო უწყლო ტალი ქვის სიმჟავისა- ვან (SiO_2), და შედგენილობით რთული საშალი ქვიშა, რომელშიაც ქიმიუ- რად შეერთებულან ერთმანეთთან ალი- უმინი, ტალი ქვა, კალი, ნატრი, კალ- ცი, მაგნი, რკინა და ცოტაოდენი ქლორი, გოგირდი და ფოსფორი, ე. ი. ყველა ის ნივთიერებანი, აზოტის გარდა, რომელთაც მცენარენი იღე- ბენ-ითვისებენ ნიადაგიდან.

ჩვენ ვიცით ერთის მხრით რომ ამ მინერალების დაშლა-დაღნობა მხო- ლოდ ცხარე სიმჟავეებით შეიძლება, მეორე მხრით ... რომ იგი ნივთიერებე- ბის შეთვისება მცენარის ფესვებში შეუვენით ხდება, რისთვისაც საჭიროა

რომ ეს ნივთიერებანი მცენარის ფე- სვებიდან გამონაუცენ სიმჟავეში დნე- ბლონენ. მაშასადამე უნდა ვსთქვათ რომ არც თაგვმარილა, რომელშიაც მცენა- რისათვის არავითარი სასარგებლო ნივ- თიერება არ არის, და არც საშალი ქვიშანი იმ მდგომარეობაში, როდესაც მათი დაღნობა მარტო ცხარე სიმჟავეე- ბის ზედმოქმედებით შეიძლება, მცენა- რებისათვის გამოსაღევნი არა ყოფი- ლან.

თიხა. სუფთა თიხა კაოლინათ წო- დებული იშვიათი შესახვედრია ნია- დაგში და ძეირფასიც არის როგორა- დაც მასალა ფართორის მოსამზადებე- ლი. ხოლო ისეთი თიხა კი, რომელიც ჩვეულებრივად არის ხოლმე ნიადაგში, შეიცავს: კალის, ნატრის, რკინას, კალ- ცის, მაგნის, ყველას ზომით 10 პრო- ცენტამდე. ამათ გარდა თიხაში მეხანი- კურად არის არეული ეგრედწოდებული წყლიანი რკინის ფანგი (водная окись железа), რომელიც აწითლებს თიხას, და

ურომლისოდაც თიხას თეთრი ფერი აქვს.

თიხაში მყოფი ყველა ზემოხსენებული მინერალური ნივთიერებანი — კალი, ნატრი, კალცი, მაგნი და რკინაძრიელ აღვილად დნებიან ნელ სიმჟავეშიაც კი. ამიტომ ამ ნივთიერებებს თიხნარი ნიადაგიდან მცენარეები აღვილად ითვისებენ თავიანთი ფესვებით.

ქლორი, გოგირდი და ფოსფორი. ეს ნივთიერებანი თიხაში არ არიან, მაგრამ სამაგიეროდ ნიადაგის წყალში კი მუდამ ურევიან, თუმცა ცოტა ($0,01 - 0,02\%$). ნიადაგში არის აგრედავე ფოსფორის სხვადასხვა მარილებიც, როგორც მაგალითად: ფოსფორ-მეგავიანი რკინა და სხვა. ყველა ეს მარილები არა დნებიან წყალში, მაგრამ სამაგიეროთ თუ ერთი ბეჭო სიმჟავე მოხვდა ზოგიერთ მათგანს. აღვილად იწყებენ ღნობას და მცენარის ფესვებს შეუძლიანთ მათი გამოყენება. შემჩნეულია რომ რაც ბლომად არის ნიადაგში თიხა, იმდენად ნიადაგს ფოსფორის მარილებიც ბლომათ ურევია შედარებით. ამის მიზეზს ცოტა ქვევით გავაგებთ.

ნახშირ-მეგავიან კირში მცენარისა-თვის გამოსაყენებელი მხოლოდ ერთად ერთი ნივთიერებაა, რომელსაც კალცის ვუწოდებთ. ამ ნივთიერებას, როგორც ზემოთა ვსთქვით, მცენარე შოთაში საკმარისად თიხნარ ნიადაგშიაც, სადაც კალცი მუდამ იპოვება, რამდენიც მცენარეებს ეჭირვებათ. შეიძლება აქედან ვიფიქროთ რომ მცენარეებისა-თვის მაშასადამე ნახშირ-მეგავიანი კირი სრულიად საჭირო არა ყოფილი შემცდარი იქნება, რადგან კირნარევი ნია-

დაგი, როცა მას კირი ზომიერად ურევია (ე. ი. ნიადაგის საერთო წონის 20% არ აღემატება), გაცილებით მეტ მოსავალს იძლევა, მეტადრე თუ თიხნარიც არის.

საშალი ქვიშა, თიხა და ფოსფორ-მეგავიანი მარილები უცვლელნი არა რჩებიან ნიადაგში, არამედ ნელ-ნელა იცვლებიან ქიმიურად. ცვლილება იმაში იხატება რომ ნოვიერი ნივთიერებანი, რომელნიც თიხას ურევიან და რომელნიც მხოლოდ ცხარე სიმჟავეში ღნებიან, ამ ქიმიური შეცვლით ადვილი დასაღნობები ხდებიან, რის გამო მათი შეთვისება მცენარის ფესვებით შესაძლებელი ხდება.

თავგმარილიდან წარმომდგარ ქვიშის შესახებ უნდა ვსთქვათ რომ ასეთი ქვიშა არავითარ ცვლილებას არ განიცდის ნიადაგში.

საშალი ქვიშანი კი მძიმე-მძიმედ იცვლებიან ქიმიურად და თიხათ გარდა კეთდებიან; ამ ქვიშაში მყოფი ფოსფორიდან, ქლორიდან, გოგირდიდან კიდე ფოსფორ-მეგავიანი და ქლორიდი მარილები წარმოსდგებიან.

თავი და თავი მიზეზები ყველა ამ ცვლილებებისა არიან: **წყალი, ნახშირმეგავე** და ჰაერის მეგაბადი. ხოლო ამათში ყველაზე ღილი მნიშვნელობა ნიადაგის შემაღებელ ნივთიერებათა დაშლა-გარდაქმნაში ჰაერგვარ ნახშირმეგავეს აქვს, რომელიც ულევად არის ხოლმე ნიადაგის ჰაერში.

მხოლოდ უნდა გვახსოვდეს რომ ზემოხსენებულ ნივთიერებათა შეცვლა გარდაქმნა იმდენად მძიმედ ხდება ბუნებაში, რომ ქვიშნარებად ცნობილი ნიადაგები ამგვარებათვე რჩებიან ხოლმე ასიწლობით თუმცა ქვიშის გარდაქმნა-

გარდაკეთება თიხათ დღემუდამა ხდება განუწყვეტლივად.

პირველი შეხედვით ძნელია კაცმა დაიჯეროს, რომ ზემოხსენებული ნივთიერებების ასეთი დაშლა-გარდაქმნა შესაძლებელია, მაგრამ თუ დაუკირდებით საგანს, დავრწმუნდებით რომ სხვადასხვა მინერალები, რომლებიდანაც შესდგებიან საშალი ქვა-ქვიშინი სწორედ ნამდვილად ასე უნდა იშორდონენ-იცვლებოდნენ წყლისა და ჰაერის ზედგავლენით.

ის მოვლენა რომ ხშირად მიუვალ სალ კლდეს ზედაპირი გადაფარებული აქვს ხოლმე მიწით, რომელიც შესდგება წვრილი ქვიშისაგან და თიხისაგან, გაუგებარი იქნებოდა ჩვენთვის, რომ ასეთ ახსნას არ დავემყარნეთ: ამ მიწის მაგარი ქვიშა, რომელიც ქიმიურად იგივე შედგენილობისა არის, რა შედგენილობაც აქვს მის ქვეშ მდებარე სალ კლდეს, ამ სალი კლდის დამსხვრევით უნდა იყოს წარმომდგარი მეხანიკურად და თვით თიხა კი იგივე

კლდის შეცვლა-გარდაქმნით ქიმიურად ჰაერისა და წყლის განუწყვეტლივი ზედმოქმედებით უამთა ვითარებაში. ამის შემდეგ შეიძლება გავიკოთ რათ არიან ფოსფორ-მჟავიანი მარილები უფრო მომეტებულად იმგვარ ნიადაგებში, სადაც უფრო მეტი თიხა ურევია ხოლმე. სალი კლდის შემაღვენელ მინერალებთა შორის ფოსფორიც არის; როცა სალი კლდის დამსხვრეული ნაწილები თიხათ გარდაკეთდებიან, ფოსფორი კიდე ფოსფორ-მჟავიან მარილებათ იქცევა ამიტომ რაც უფრო მეტი თიხა იქნება საღმე ნიადაგში წარმომდგარი, იმდენი იქ მეტი ფოსფორ-მჟავიანი მარილებიც ექნებიან, როგორადაც პირველის თანამგზავრნი.

შემჩნეულია აგრედვე რომ ქვიშის, თიხის და ფოსფორ-მჟავიანი მარილების შეცვლა-გარდაკეთება ქიმიურად მით უმეტესად ხდება ნიადაგში, რაც უფრო ამ ნიადაგს ნახშირ-მჟავიანი კირი მომეტებულად ურევია.

3 გულბათიშვილი

(გაგრძელება)

შემდეგი მოცლა

რაკი ხეხილი წესიერად გადაირჩა, ჩაირგა და პირველ 2—3 წელიწადს, როგორც ზემოთა ვსოდეთ, ისე გაისხლა, *) მერე ყოველწლიური მოვლა შემდეგნაირად უნდა ხდებოდეს:

1.—ზამთრობით უნდა დაუაროთ ნაგალი ხეხილის ყველა ბუჩქებს და რაც აბლაბუდე, პარკი, კვერცხი მწერკია-მატლისა იქნება ზედ ჩამოაცალოთ და დასწუათ.

*) იხ. „მოსავალი“ № 4 1910 წ.

2.—ადრე გაზაფხულიდანვე უნდა ბარითა და თოხით თავს ედგეთ ბალს და არაფერი ბალახი არ ამოუშვათ შიგ, რისთვისაც მთელი ზაფხულის განმავლობაში პირველ ორ-სამ წელიწადს ერთი ექვსჯერ მაინც დაგჭირდებათ გათოხნა-გამარგვლა. გარდა იმისა რომ ბალახი არ უნდა მოერიოს, გათოხნით ზეითი პირი ნიადაგს მუდამ გაფხვიერებული ექნება და ამ გარემოებას კი დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგში ნესტის შენახვისათვის. დაიყვავილა თუ

არა ხეხილმა ბალი უნდა ჯერ ცოტა ღრმად დაიბაროს, რომ პაერს ნიადაგში ჩასასვლელი გზა გაეხსნას, რათა ხეხილების ფესვებმა თავიანთი მუშაობა დაიწყონ. შემდეგ ამისა ყოველ 4 კვირაში ერთხელ ბალს გათოხნა დასჭირდება, რომ წვიმის წყალი ადვილად გაუჯდეს ხოლმე ნიადაგს და თანაც გაფხვერებული ზედაპირი ნიადაგისა მის გამოგოლვას აპრკოლებდეს როცა წვიმა დაიგვიანებს.

როცა ბალი დაიკრიფება და ფოთოლი გასცვივა ხეხილს, ბალი უნდა ისევ ღრმად დაიბაროს ან მოიხნას და სასუქი მიეცეს, თუ საჭიროა. ნიადაგის დამუშავება ამით გათავდება. მოხნული არ უნდა დაიფარცხოს, პირიქით უნდა ნიადაგის ზედაპირი უსწორმასწორო კოლტკოლტიანი დარჩეს, რადგან ასე უფრო მეტ სინესტეს აიღებს, კარგად გამოიყანება და პაერიც კარგად გაუვლის, განივდება.

3.—თუ ნიადაგის წყალი ღრმად არის და ზეითა პირს ნიადაგისას, საღაც ფესვები არიან, საკმარისს ნესტს ვერ აწვდის, გოლვიან ზაფხულის თვეებში ბალს მორწყება დასჭირდება. მოსახწყავად წყალი უნდა მიეშვას ბალს ისე, რომ მთელი ნიადაგი გაბმით მოირწყას და არა თითოეულ ბუჩქს მოესხას გარეშემო, როგორც ჩვეულებად აქვთ, რადგან ესეთი მორწყვა თითოეული ძირისა ცხელ დღეში არამც თუ არა ჰრებეს ხეს, არამედ შეიძლება ავნოს კიდევაც, როგორც არა ერთხელ შეუმნევიათ, ვისაც თვალყური უდევნებია.

ამ უკანასკნელ ღროს ბალის პირალებით მორწყვას ზოგიერთი მებალები ხეხილების წყლით შესხურებას იმჯობინებენ სალამ-სალამობით.

4.—მორწყვის ღროს ბალს, თუ საკიროა, პატივიც შეიძლება მიეცეს. პატივად იხმარება: ფრინველის სკლინტი, ძროხის ნეხვი, დაფხვნილი-დაფქვილებული ოქა-ჩლიქი, გამმმარი სისხლი და სხვა (ი. „მოსავალი“ 1909 წ. „სასუქი და იმისი მნიშვნელობა ხეხილებისათვის“ ვ. შ—ელისა). ამ ნივთიერებებს ჩაყრიან ჯერ ჭურჭელში, დაასხამენ წყალს რომ შიგ დალბნენდამუვდნენ და მერე აურევენ წყალში და რწყავენ. ამ სახით მიცემული პატივი უფრო მაღალ მოქმედობს ხეხილებზე.

5.—ნაგალა ხეხილის ბუჩქი, რადგან თვით მცენარის ზრდა შეფერხებულია, ძრიელ დაიყვავილებს ხოლმე და ბევრი ნაყოფი გამოაქვს. რომ თითოეული ნაყოფი ლიდი და ლამაზი გაიზარდოს და დამწიფდეს გამოტანილ ნაყოფს შეთხელება უნდა. შეთხელება ხდება სამჯერ: ერთი მაშინ როცა ნაყოფი თხილის ოდენა შეიქმნება, ირთმევებიან ის ნაყოფები, რომელნიც სხვებზე დაბლები არიან; მეორე ჯერ შეთხელება მოუნდება ამის შემდეგ ორი კვირა რო ჩამოვა და მესამეჯერ—ორი კვირის შემდეგ მეორე შეთხელებისა.

ორი-სამი კვირის წინ დაკრეფამდე ჭიანაჭამი ნაყოფი უნდა მოირჩეს ყველა ბუჩქებზე და ბალიდან გამოვიდეს. დაბლა ჩამოცვინილიც უნდა აიკრიფოს და გამოიტანოს. რაც დაჭიანებული და ძირნაყარი იკრიფა სჯობს წყალში ჩაიყაროს: ნაყოფში დაბუდებული ჭია-მატლი გარედ გამოვა წყალში და დაიხოცება. ზედ ხეზედ ან ძირს ბალში კი რომ დარჩეს ეს ჭიამტლი ბალშივე გამოდის, იკეთებს პარქს და ჰაბადავს მეორე თაობას, რო-

მელიც ახალ ნაყოფს მიესევა ხოლმე
და აქიანებს.

6.—წამლობა. ხეხილის მტრები
ისე მრავლად არიან და მათ წინააღ-
მდეგ ბრძოლა იმდენად რთული საქ-
მეა, რომ ამაზე განსაკუთრებით უნდა
დიაწეროს. ხოლო აქ იმსი კი ვიტყვით,
რომ ნაგალა ხეხილების ამ მხრივ მოვ-
ლა-შენახვა ბევრით უფრო ადვილია,
ვიდრე ტენოვან ხებისა, რადგან ბუჩქს
ადვილად უდგება კაცი მწერ-ჭია-მატ-
ლების მოსაშორებლადაც და წამლის
შესასხურებლადაც.

ყველაზე საშინელი მტერი ხეხილე-
ბისა არის ეგრედწოდებული თქვენსავე
უურნალში (იხ. „მოსავალი“ № 3,
1909 წ.) ნაყოფის მჭამელა (პლი-
ჯორა).

7.—როდესაც ბუჩქს სხმოიარობა
დიდი აქვს მისი წვრიალი ტოტები ნა-
ყოფის სიმძიმისაგან ძირს იზიქებიან
და ხშირად მიწამდე დაეშვებიან ხოლ-
მე. ამ შემთხვევაში ტოტებს საყენი უნ-
და შეედგეს. თუ საყენად ნახმარ ჭი-
გო-სარს არებთ ჯერ უნდა დეზინ-
ფექცია უყოთ. შაბიამნის წყალში შე-
იძლება დაამყოფოთ რამდენიმე დღე
ან მთლად, ან მარტო გაჩეკილი წვე-
რებით, რომლითაც მიწაში ურკობთ,
რომ თუ რამე ჭია-ლუა არის შიგ შე-
ხიზნული შაბიამნმა მოკლას. ძრიელ
მსხვილი ნაყოფი, რომელიც საგული-
გულოდ გინდათ გაზარდოთ რომ ცალ-
ცალკე გაიყიდოს თითო, უნდა მარ-
ლას პარკით ააბათ მაღლა რომ ყუნწს
ძალა არ დაადგეს ნაყოფის სიმძიმისა-
გან (ზოგი 2½ გირვანქაა ხოლმე) და
თანაც ნაყოფის მჭამელისაგანაც უზ-
რუნველ ყოფილი იყოს.

8.—ნაყოფის მოკრეფა. თავის დრო-
ზე დაკრეფის ძრიელ დიდი მნიშვნე-
ლობა აქვს. უზროოთ დაკრეფილი ხი-
ლი მთლად შეიძლება გაფუჭდეს და ბუ-
ნების მხრივ მშვენიერად ხელშეწყობილ-
მა მოსავალმა პატრონის უცოდინარო-
ბით სრულიად ამაოდ ჩაიაროს. უნდა
ვიცოდეთ რომ სრულიად დამწაუე-
ფული მსხალი და ვაშლი შეიძლება
მხოლოდ საზაფხულო ჯიშისა დაიკრი-
ფოს. ზამთრისა და შემოღვიძების ჯი-
შებს დაკრეფი იმაზე ადრე უნდა, ვი-
დრე სრულიად დამწიფედებიან, როცა
როგორც იტყვიან თვალშესულია და
ტოტიდან ყუნწის შემწეობით ნაყოფს
საზრდო აღარ ეძლევა, ისე რომ იმაზე
მეტად აღარ გაიზრდება ნაყოფი რაც
არის, თუმცა ჯერ საჭმელად ესეთი
მსხალი და ვაშლი არ ვარგანან, რად-
გან სიმწიფე დაუსრულებელი აქვთ და
მაშასადამე არც სიმშვენიერე გემოსი
და სურნელოვანობისა მისცემიათ ჯერ.
ერთდაიმავე ხეზე ყველა ნაყოფი
ერთ დროს არ შემოდის, ამიტომ არც
ერთბაშად დაკრეფი შეიძლება.
როცა ნაყოფი მოსაწყვეტად შემო-
სულია, ყუნწი იმ ილაგს სადაც ტოტ-
ზეა მიბმული ხორცმეტლება და საკმა-
რისია მოვავლოთ ნაყოფს ქვემოდან
ხელი და ოდნივ მოვატრიალოთ, რომ
ყუნწი მაშინვე გოშორდეს ტოტს და
ნაყოფი ხელში შეგვრჩეს. თუ ასე ად-
ვილად არ მოსწყდა ნაყოფი, მაშ იგი
მოსაწყვეტად არ ყოფილია ჯერ შემო-
სული. დამწიფება დასრულდება სარდა-
ფში, სადაც ხილი გვიწყვია გაშლით.
ადრე დაკრეფილ მსხალსა და ვაშლს
კანი ეჭმუჭნებათ და არც გემო ეძლე-
ვათ კარგი. კრეფაში მსხალსა და ვა-



შლს დიდი სიფრთხილე უნდა, რომ კანი არსად გაეფხაჭნოთ ან არ დაეუექოთ, თორემ მცირედათაც რომ დაშავდნენ ამ მხრივ, მალე დალპებიან და სხვებსაც გააფუჭებენ. ხილი არ

უნდა იკრიფებოდეს აღრე დილით ნესტიან-ნამიანი, არც წვიმის შემდეგ ჯერ ისევ სველი და არც სიცხის გულზე გახურებული.

ვ. ახმეტვილი

მასალა სამეცნიერო სიტუაციურ-კრებულის შესადგენი

უთიდი ანუ ჰატრუქი
საკანი ანუ კიდობანი
ფაფხაჭელი (პურისა
მაგალითად)
დასტამადი (საწმენ-
დი ტილო)
დაიაქი (რასაც ბაყა-
ლი აიღებს თავის სა-
სარვებლით თითო კა-
ლათა ან ყუთ ხილის
გასყიდვაში)

ხილეული
კრებინხია
ქოლი (მალინა)
მოცხარი (ცმიდი-
ლი)
მძახელა (კალინა)
წრო (რაბინა)
მავვალი (ეჯევიკა)
კავიიბა (დიკი ვი-
ნოგრადი)
მოცვა (ჩერნიკა)

ხარებისა და კამერების სახელები

ფაბა, წაბლა
შეინდა, ლომა
ქარვანა, სინგურა
წაბლა, ქახტა
მაღავაზა
ჯერიანა

ნიკორა
ირმა
შაველა
ქადარა
ზენო
თანხანა

ქსოვილები

უქნი (ატლასის მა-
გვარია)
დარჩა
თავთა
ჭობდანი (ყვაგილია-
ნი ატლასითანა)
ალიბი
მოვი
ჩითმერდინი (თათ-
რის ლედაკაცების ლუ-
ჩაქი)
უნაოზი
მეოდიბი (აბრეშუმის
მუკიცილი)

მართ
ზაკვთი
ებზაზი (აბრეშუმის
მყიდველი).
თქქმახი (ჯესტან-
შიკე)
შარგუჭი (ლეჩაქის
ყუნკული)
მანჯანი (აბრეშუმის
ამოსახვევი)

საშალი (отвертка)
საჭვრეთელი (отве-
ртка)
სატენე (стомеска)
ბურაჟ (буравъ)
მარტუხი (тиски)
ხუსტარა (фуганокъ)
სოლინარი (трубка)
საჭაჭავი ანუ ქსენი
(прессъ)

მენაჟი (масштабъ)
სარაჭი ანუ შადრე-
ვანი (фонтанъ)
ორთავეგარი (весло)
ზავი (ростворы)
ზოდი (пластиинка)

ლიბრი ანუ ბისტი
(бѣльмо)
ოლბობა (паукъ)
ბოჟი, ფუმფალა (ку-
колка)
ღუა (личинка)
მერი (трутень)
მართვი (рой)

თვალი და იმისი

ნაწილები

თვალის ქაბალი (глаз.
яблоко)
ბინი (эрачекъ)
ბაია (радужн-обо-
лочка)

ბუბა (роговая обो-
лочка)
თეთრი ანუ თეთრი
გარსი (бѣлокъ)
ბადე (сѣтчатая
оболочка)
ბროლი (хруста-
ликъ)

წედისი (გაფებოებუ-
ლი თიხა)
ბებჩა ანუ ბოხი
(черепъ)
ღაზგა (станокъ)
აზარბაცი (рычагъ)

ღეღაშა (ახალი ყვე-
ლი)
შილდნა (сычугъ)
ღვრიტა (первыч-
ное содержание сы-
чуга)

ღვაზგა (большой же-
лудокъ)
მუშაბნა (перга-
ментъ)

ქუდები („соро-
чикъ“)
ღუტერ (клейко-
вина)

ნასკვი (заязвъ)
ღივი ანუ ნაერი
(зародышъ)
სახენი ანუ ლებანი
(сѣмядоли)

ხეჭი (мочки)	ჩალთუქი (ბრინჯის შეცვალე)	ნივთმანათი (ფიც- ფორქ)	მარგალიტი (жем- چугъ настоящій)
შრე, სვე ანუ ბები (слой)	საჩაღთუქე (ბრინ- ჯის ყანა)	შატაშური (паташъ)	თაღლითი (жем- چугъ поддѣльный)
ექვალი, ხიჭვი (хвой)	წერნაკი (блекротъ)	ბუზანადი (залежи камен. соли)	კალამი (черенокъ)
გარსი (оболочка)	ბოგანთ ჭია ანუ ბო- განთ (листовертка)	უაჭამი (щетка для смазки)	მარლა, ჭობა (ма- рля)
ბაქანი (სარკველი)	ბოსტანა (медвѣдка)	ჯაჭაბა (желѣзн. купаросъ)	განგლი (კაკლისა)
ბოლქვა (луковица растенія)	ტრაპადი (коробка растенія)		ბურტელი (ყვავი- ლისა)
დოფი (მცენარის ნო- რჩი ყლორტი)			

საყურადღებო ცნობები

ნავთით დალაქავებულ ქსოვილის გაწ- მენდა. ქსოვილის იმ აღვილს, სადაც ნავთი აქვს დასხმული, ზემოდანაც და ქვეშიდანაც მელ- ნის ასაშრობ ქანალის დაუდებთ და ცხელ უთოს გავატარებთ ერთი-ორჯელ. ლაქა პირ- წმინდათ ამოვა.

ნახშირ-მჟავით დაბორიელებულის წა- შალი. ვინც ფეხის ან ბუჩრის ადრე დახურ- ვის მიზეზით ნახშირ-მჟავით დაბორიელდება საჩქაროთ გარეთ უნდა ჰავრზე გაიყვანონ და ნაშატირის სპირტი ასუნებინონ მალიმალ. ამასთანავე თითოს ან ბატის ფრთის პირში ჩაყოფით უნდა ეცადნენ პირს ასაქმებინონ. დაბორიელებულის თავის ტკივილს დიდ შე- ლავათს აძლევს თბილი კომპრესი თავზე და საფეხქლების დაზელა ძმრით. თუ მდგომარე- ობა დაბორიელებულისა საშიშია, უნდა ტანი დაეზილოს თოვლით, ხელოვნური სუნთქვა გაუმართონ და იყნა გაუკეთონ. როცა ავად- მყოფი გონიერ მოვა, უნდა ცოტა ლვინო ან წყალი დაალევინონ ლიმონით.

რომელი მხრიდან უნდა წველა. შედა- რებით ჩვენ სოფლის ჩვეულებებთან სხვა ტო- მის ხალხს ბევრი განსხვავებული ჩვეულება აქვთ, ასე მაგალითად საქონლის ულევში შე- ბმა, ცხენის შებმაში ჩვენ მხრის შეცვლა ვი- ცით, ხარია თუ ცხენი ერთხელ რო ერთი მხრიდან შევაბამთ, მეორეთ მეორე მხრიდან ვბამთ. აგრძელე წველვამი დილით მწველე- ლმა ფური მარცხნა მხრიდან რო მოწველოს,

სალამოთი მარჯვენა მხრიდან წველის ან და ერთ მოწველვაზედგე პირველ მოგერებაზე ერ- თი მხრიდან სწველის მეორეზე მეორიდან.

სხვებმა ასე არ იციან. საქონლის შებმაც, წველვაც შეუდამ ერთი მხრიდან იციან. ფურს მაგალითად, მარჯვენა მხრიდან სწველავენ ხოლმე.

თუ რამდენად სასარგებლოა მარტო მარ- ჯვენა მხრიდან ძროხის მოწველვა ან რო- გორ უნდა სწარმოებდეს წესიერი წველვა შემ- დგენდანა სჩანს: ერთ ბინაზე გადაარჩიეს ცალ- კე 12 სული ძროხა უველა საღი და კარგი წველვი და ანგარიშს უწევდნენ ყოველს დღე მოწველილ რძეს, ე. ი. ზომავდნენ მის რაოდენობას და სიმსუქნეს. აღმოჩნდა რომ ყოველი ძროხიდან ცურის მარჯვენა ნახევრი- დან ჩამოწველილი რძე, ე. ი. ცურის იმ ნაწილიდან, რომელიც უახლოესი იყო მწვე- ლელთან, მეტიც იყო და უფრო მსუქანიც. ყოველი ძროხის მარჯვენა ნახევარ ცურს ჩა- მოდიოდა 3,97 კილი რძე, მარცხნას—მხო- ლოდ 3,65. სიმსუქნე მარჯვენა ნახევრისას ქონდა 3,65% სიმსუქნე, მარცხნისას 3,10%.

ასეთ მოვლენის ახსნა მარტო იმითი შეიძ- ლება, რომ ცურის ის ნაწილი, რომელიც უფრო ახლოა მწველელთან, უფრო ღონივრად იწველება და ამიტომ როგორც მეტ შრომაში მყოფი მეტსაც იდგამს რძეს და უგრო მსუ- ქანსაც. ამისა გამო ეხლა ევროპიელი მესა- ქოლნენი ცდილობენ ძროხა თავიდანვე, ეყო- ლება თუ არა პირველი ხბო, წველვას ორივე



მხრადან შეაჩვიონ. ამგვარად ჩვენი ცოდნა და ჩვეულება ამ საქმეში წასაბაძევი ხდება ეპროს პიელებისათვის, როგორც საუკეთესო წესი ძროხების წველვაში.

არა ნაკლები მნიშვნელობა წველვაში აქვს ცურის კარგად გამოწველვას. თუ სრულიად არ ჩამოეწვრიტა ცური იგი არ თამამდება, თანდათან ძროხას წველვაში შესვლა არ ეტყობა, გეგმი იგი რაის მამატება არ ეტყობა ცურს.

თუ კი ბზეს გაყოლილი ზორბალი სანაცურად ჩატარება პალინისათვის, მაში ცურში ჩარ-

ჩენილი ყოველ მოწველვაზე რე უფრო და-სან. ნი უნდა იყოს (როცა ხბო არ არის), რა-დეან გადაყოლებულ ხორბალს ჩვენივე საქონელი ან ფრინველი შე ჭამს და რე კი სრუ-ლებით არა კეთდება, რომ ვინმე გამოიყენოს.

ამიტომ მოწველვაში ყურას გდება, უნდა მიექცეს იმას, რომ ცური სრულიად გამოი-წველოს ხოლმე და დღითი დღე გავარჯიშებით შესამატი ეძლეოდეს რადეს.

განცხალებანი

მთელ კავკასიაში პირველი სეციილური ელექტრო-მესაციური დაწესებულება

პ. ღიურა

ტფილისი, მისამართის ქუჩა, № 140, რომელიც ამზადებს მეფუტკრეობაში საკირო კულტურული იარაღებსა და ივე-ჯეულებას.

დაწესებულების გამზირი სახელმძღვანელოში დაგენერირების და სახელმძღვანელოში

მეცნიერეობის შესახებ

აქვე ყადულებენ და ჰყილიან თავზე და წმიდა სათოვლს.

პრეცესურანტი უფასოთ.

სახელმწიფო ქონებათა და მიწათ მოწედების სამინისტროს კომისიონერი

მ. ი. ფილონოვი ტფილისი.

სკარსუმები და წამლები გარ-ვენასების უსანაგ- ლევად

სუბია უაგიამანი ცნობილი მაკ-ლესფრლდესა და სხვა ფირმებისა.

გოგირდი. მარსელისა და პირდაპირი იტალიიდან გამოწერილი სხვადასხვა ფირმებისა და ჩვენი საკუთარი ფირმისა.

ნამდვილი შვეიცარტის მწვანე წაგალი ბლენდელის ფაბრიკისა ლონ-დონში.

კულტერიზატორები (შესასხურებელი აპარატები) მონსერვიცისი, ვერმორელისა და სხვა ფაბრიკებისა.

მზად გაკეთებული პარაშოკი ვაზებზე და ხეხილებზე შესასხურებლად სოკოები ადა მწერ-ჭია-მატლების წრნააღმდეგ „ეპლერი“. სხვადასხვა ფაბრიკებისა.

ურანის საჭურავები (პრეცები) მა-ბილიცისი, მარმონიცის და სხვა ფაბრი-კებისა.

ლვინისა და სპირტის ამოსალები ნასოსები ანუ პოვაები გვილებოსი.

ლვინის გასაშინჯი პაპარატები სა-ლერნ-ჯურდენისა.

ვაზების შესაყელი და ახახვევი რაცი.

აზებესტის ფილტრები მალოვიჩის, რუეტის და სხვა ფაბრიკებისა.

აცეტილენის ცარნიბი გალალ კო-კებზე ასანთები მედუზები.

კანტრია კისრულობს სხვა ყოველი გვარი იარაღებისა და მაშინების გამო-წერასაც, რომელნიც კი საჭირონი იქ-ნებიან მევენახე-მელვინეებისათვის, მე-ბალეებისათვის და კუველა სხვა მეურნე-თათვის.

დაწვრილებითი ცნობების მისაღებათ მსურველნი მიმართავენ მ. ი. ფრიდო-ნოვს ტფილისში.

კატალოგები უფასოდ.

რედაქ.-გამომცემელი გ. ი. რცხილაძე